დანართი N1

„დამტკიცებულია“
2020 წლის 07 თებერვლის
N02-09/14 ბრძანებით

კ ო ნ კ უ რ ს ი

პოზიციის სრული დასახელება: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის მოადგილე მაუწყებლობის განვითარების დარგში.
ვაკანსიის ოდენობა: ერთი
სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი
სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი
შრომის ანაზღაურება: 2900 ლარი;

ძირითადი მოთხოვნები:

- ✓ უმაღლესი განათლება (ბაკალავრის აკადემიური ხარისხი);
- ✓ ტელევიზიაში ან/და რადიოში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.
- ✓ ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
- ✓ ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ✓ ექსტრემალურ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
- ✓ გუნდური მუშაობის უნარი;
- ✓ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ✓ კომუნიკაბელურობა;
- ✓ პრეზენტაბელურობა;
- ✓ ენერგიულობა;

შენიშვნა: მედიაკონტენტის შექმნის გამოცდილება კანდიდატს ჩაეთვლება უპირატესობად;

სამუშაოს აღწერილობა:

- ✓ პროგრამული პრიორიტეტებისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები მაუწყებლის უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად;
- ✓ დამოუკიდებლად, ან მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეაფასოს მიმდინარე სატელევიზიო და რადიო პროგრამების ხარისხი, მათი შესაბამისობა პროგრამულ პრიორიტეტებთან, განახორციელოს ღონისძიებები პროგრამული პრიორიტეტების დარღვევისა და სხვა ხარვეზების აღმოსაფხვრელად;
- ✓ გააანალიზოს სოციალური კვლევების შედეგები და დასახოს გეგმები მაუწყებლის სანდოობისა და რეიტინგის ამაღლების მიზნით;
- ✓ გააანალიზოს მაუწყებელში დასაქმებულთა უნარები, შესაძლებლობები და შეიმუშაოს წინადადებები ტელევიზიის/რადიო/ინლაინ მედიის განვითარების მიზნით ადამიანური რესურსებისა და დასაქმებულთა პროფესიული უნარების ოპტიმალურად გამოყენების კუთხით;
- ✓ მონაწილეობა მიიღოს ახალი სატელევიზიო და რადიო (ონლაინ) პროგრამების, ასევე სატელევიზიო და რადიო სამაუწყებლო პროგრამული ბადის შემუშავებაში პროგრამული პრიორიტეტებისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად;
- ✓ მონაწილეობა მიიღოს ბრენდირებისა და პრომოუშენის დაგეგმვასა და განხორციელებაში;
- ✓ მონაწილეობა მიიღოს ტექნიკური გადაიარაღების დაგეგმვაში პროგრამულ პრიორიტეტებთან მისი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- ✓ განახორციელოს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაცია;
- ✓ ხელი შეუწყოს სტრუქტურულ ერთეულებს საბიუჯეტო მოთხოვნათა ჩამოყალიბებაში;
- ✓ განახორციელოს დირექტორის მხარდაჭერა მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ✓ დირექტორის არყოფნის შემთხვევაში შეასრულოს დირექტორის მოვალეობა.

დამატებითი უნარები:

- ✓ ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;

- ✓ საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- ✓ უცხო ენების ცოდნა (სასურველია).

წარმოსადგენი ინფორმაცია:

- ✓ განცხადება;
- ✓ ავტობიოგრაფია (CV);
- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ ფოტოსურათი 3X4;
- ✓ სამოტივაციო წერილი;
- ✓ დიპლომისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატ(ებ)ის ასლ(ებ)ი;
- ✓ სამუშაო გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ მედიაკონტენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის ავტორს, რეჟისორს, ან პროდიუსერს თავად წარმოადგენს.

კონკურსის ეტაპები:

განცხადების გადარჩევა - პირველი ეტაპი;
გასაუბრება - მეორე ეტაპი.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

განაცხადები განიხილება სპეციალური კომისიის მიერ ქულათა სისტემით.
განაცხადები მიიღება 2020 წლის 07 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით, ელექტრონულად (HR@ajaratv.ge).

გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადა: 2020 წლის 28 თებერვალი.
საკონტაქტო პირი: ნინო უტიაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია: 577055430
საკონტაქტო ელ-ფოსტა: HR@ajaratv.ge

შენიშვნა:

1. დაინტერესებულმა პირმა გამოგზავნილი ელ-ფოსტის სათაურში (subject) უნდა მიუთითოს სასურველი ვაკანტური პოზიციის დასახელება;
2. კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის განაცხადების რეგისტრაციის შესახებ) დაინტერესებულ პირს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;